ხშირად დასმული შეკითხვები საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის შესახებ

1. **რომელ ქვეყნებში არის შესაძლებელი უვიზო მიმოსვლა?**

უვიზო მიმოსვლა ვრცელდება მოკლე ვადიან ვიზიტებზე შემდეგ ქვეყნებში:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც შენგენის ზონაში შედიან: ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი;

- ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც ჯერ არ არიან სრულად ინტეგრირებული შენგენის ზონაში (ისინი ჯერ არ არიან შენგენის ზონის ნაწილი): ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი და რუმინეთი).[1]

- უვოზო მომისვლა ასევე მოიცავს შენგენის ასოცირებულ წევრებს: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და <u>შვეიცარია.</u>

2. **რა პერიოდით შემიძლია შენგენის ზონაში უვიზოდ დარჩენა?**

შენგენის ზონაში შეგიძლიათ დარჩეთ 90 დღის ვადით ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.
ამ წესის გამოყენებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ასპექტები:

- ქვეყანაში შესვლის დღე შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის პირველ დღედ ითვლება;
- ქვეყნის დატოვების დღე შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის ბოლო დღედ ითვლება;
- 180-დღიანი პერიოდი არ არის ფიქსირებული. ეს უფრო მოძრავი ჩარჩოა და ითვალისწინებს შენგენის ტერიტორიაზე გატარებული ყოველი დღის უკან გადათვლას (იქნება ეს შესვლის მომენტიდან თუ ფაქტობრივი შემოწმების გავლიდან, მაგალითად ქვეყნის შიგნით პოლიციის კონტროლის ან ქვეყნის დატოვების დროს სასაზღვრო შემოწმებისას).
- თუ 90 დღის განმავლობაში არ იმყოფებოდით შენგენის ზონაში, ხელახლა შეგიძლიათ გაემგზავროთ და დარჩეთ 90 დღემდე ვადით.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ნებართვით ან გრძელვადიანი ვიზით სარგებლობისას გატარებული დღეების რაოდენობა არ ანგარიშდება

[1] ამ ქვეყნებში გატარებული დრო არ ითვლება შენგენის ზონაში ყოფნის მთლიან პერიოდში. 90-დღიანი ვადა თითოეული ამ ქვეყნისთვის ცალ-ცალკე გამოიანგარიშება. მაგალითად, შენგენის ზონაში 90 დღით დარჩენის შემდეგ, პიროვნებას მაშინვე შეუძლია გაემგზავროს ხორვატიაში და იქ 90 დღე დარჩეს

უვიზოდ მოგზაურობის ვადის გამოთვლისას. საცხოვრებელი ნებართვა და გრძელვადიანი ვიზა სხვა წესებს ექვემდებარება და ზემოთ მოცემული ახსნა და გამოთვლები მათზე არ ვრცელდება.

3. შემიძლია შენგენის ზონაში რამდენჯერმე შევიდე ამ პერიოდში?

დიახ, შეგიძლიათ. თუმცა, კარგად უნდა გამოთვალოთ შენგენის ზონაში გატარებული დღეების რაოდენობა, რადგან იქ გატარებული დღეების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 90 დღეს, ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში (იხილეთ კითხვა 2).
შენგენის ზონაში დარჩენის ხანგძლივობა შეგიძლიათ გამოთვალოთ ქვემოთ მითითებულ ვებ-გვერდზე არსებული კალკულატორით სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ინგლისურ და რუსულ ენებზე:
https://ec.europa.eu/home-affairs/content/visa-calculator_en
ამის გარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა სპეციალური აპლიკაცია ანდროიდისა და აიფონის სისტემის მობილური მოწყობილობებისათვის სადაც მოიძიებთ ინფორმაციას უვიზო მიმოსვლის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შენგენის / ევროკავშირის შესახებ აპლიკაციები შემდეგი ვებ გვერდებიდან:

- iOS App Store
- Google Play Store

თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია უვიზო მიმოსვლის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე:
http://www.mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoGeorgian.aspx [2]

4. რა სახის სამგზავრო საბუთებია საჭირო შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით სარგებლობისთვის?

თქვენ გესაჭიროებათ რომ წარადგინოთ ბოლო 10 წლის განმავლობაში გაცემული ბიომეტრიული პასპორტი, რომელსაც დარჩენილი აქვს სულ მცირე სამი თვის მოქმედების ვადა შენგენის ზონიდან დაგეგმილი გამომგზავრების თარიღიდან.

<u>შენიშვნა:</u> თუ თქვენ არა გაქვთ ბიომეტრიული პასპორტი, თქვენ კვლავაც შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი შენგენის ვიზის მისაღებად შესაბამის დიპლომატიურ მისიაში.

ამის გარდა შესაძლოა მოგთხოვონ რომ წარადგინოთ სხვადასხვა საბუთები (როგორიცაა: თვითმფრინავის ბილეთები მთელი მოგზაურობისათვის, უკან დასაბრუნებელი ბილეთის ჩათვლით, საცხოვრებელი ადგილის ჯავშანი, მოწვევის წერილი კერძო პირისაგან, კონფერენციაზე ან სხვა ღონისძიებაზე

[2] ვებ გვერდი არის ქართულ ენაზე, ამჟამად მიმდინარეობს ინგლისურ ვერსიაზე მუშაობა

დასასწრებად ან მოწვევის წერილი ბიზნეს პარტნიორისაგან, სხვადასხვა ტრეინინგზე ან ენის კურსებზე დასწრების რეგისტრაცია და აშ.)[3] , აგრეთვე თქვენი მოგზაურობისათვის საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბუთები (იხილეთ ქვემოთ).

5. უვიზო მიმოსვლა მაძლევს შენგენის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის უფლებას?

უვიზო მიმოსვლა არ აძლევს მესამე ქვეყნის მოქალაქეს შენგენის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლისა და დარჩენის უპირობო უფლებას. წევრი ქვეყნები უფლებამოსილნი არიან უარი გითხრან საკუთარ ტერიტორიაზე შესვლასა და დარჩენაზე, თუ ქვემოთ მოცემულ ერთ ან მეტ პირობას არ აკმაყოფილებთ.

ვიზიტისთვის, რომლის ვადა არ სცილდება 90 დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში შესვლის პირობები შემდეგია:

ა) მესამე ქვეყნის მოქალაქეს ხელთ უნდა ჰქონდეს მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი (იხილეთ კითხვა 4) ან საზღვრის გადაკვეთის უფლების მიმნიჭებელი სხვა საბუთი;

ბ) თუკი მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს ძალაში მყოფ ბინადრობის უფლებას, რომელიც გაცემულია ერთერთი შენგენის წევრი ქვეყნის მიერ ანდა აქვს ძალაში მყოფი ეროვნული ვიზა (ვიზა D), მას მაინც ევალება წარადგინოს სამგზავრო დოკუმენტი რომელიც ძალაშია შვეიცარიაში ან სხვა შენგენის წევრ ქვეყანაში დაგეგმილი ყოფნის მთელი პერიოდისათვის.

გ) დაგეგმილი ვიზიტის მიზნისა და პირობების დასაბუთება, საკმარისი ფინანსური საშუალების ქონა, როგორც დაგეგმილი ვიზიტის პერიოდისთვის, ასევე უკან დასაბრუნებლად;

დ) თქვენზე არ უნდა არსებობდეს შეტყობინება "შენგენის საინფორმაციო სისტემაში" (SIS) შენგენის წევრ ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შესახებ;

ე) თქვენ არ უნდა მიიჩნეოდეთ საფრთხედ საზოგადოებრივი წესრიგის, შიდა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით იქ, სადაც წევრი ქვეყნების ეროვნულ მონაცემთა ბაზებში არ არსებობს შეტყობინება ამავე საფუძვლით თქვენთვის შესვლაზე უარის თქმის შესახებ.

ვ) თქვენზე არ უნდა იყოს გაცემული ბრძანება ქვეყნის დატოვების შესახებ.

---

[3] საბუთების სია, რომელიც შესაძლოა მოსთხოვონ მესამე ქვეყნის მოქალაქეს, შეგიძლიათ მოიძიოთ შენგენის სასაზღვრო კოდექსის პირველ დანართში: (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32016R0399).

6. რა თანხა უნდა მქონდეს თან შენგენის ზონაში მგზავრობისთვის?

"შენგენის სასაზღვრო კოდექსის" მე-6 (4) მუხლის თანახმად: "საარსებო საშუალება უნდა შეფასდეს ვიზიტის ხანგრძლივობისა და მიზნის მიხედვით და შესაბამის წევრ ქვეყანაში არსებული ბინისა და კვების საშუალო ფასების გათვალისწინებით, გამრავლებული ვიზიტის დღეების საერთო ოდენობაზე". საკმარისი საარსებო ფინანსური საშუალების ქონა შესაძლებელია დადასტურდეს ნაღდი ფულით, სამგზავრო ჩეკით ან საკრედიტო ბარათით, რაც მესამე ქვეყნის მოქალაქის საკუთრებას წარმოადგენს. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე მასპინძელთან ჩერდება, საკმარისი საარსებო საშუალების დასტურად შესაძლოა ასევე ჩაითვალოს განაცხადი დაფინანსების თაობაზე, თუკი ქვეყნის კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს და მასპინძლის გარანტიის / მოწვევის წერილი, როგორც ეს ქვეყნის კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

ზოგიერთი შენგენის წევრი ქვეყანა გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით. [4]

საკრედიტო ბარათის ვალიდურობა შესაძლებელია გადამოწმდეს გამცემ კომპანიასთან დაკავშირების გზით ან საზღვრის გადაკვეთის პუნქტზე არსებული სხვა საშუალებით.

მასპინძლის წერილი დაფინანსების შესახებ ან მისი მოწვევის წერილი შესაძლებელია გადამოწმდეს მასპინძელთან პირდაპირ დაკავშირებით ან მასპინძლის გადახდისუნარიანობის გადამოწმებით იმ წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებში, რომელშიც მასპინძელი ცხოვრობს.

7. არის თუ არა აუცილებელი სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა შენგენის ზონაში მგზავრობისთვის?

სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა არ არის სავალდებულო უვიზო რეჟიმით მოსარგებლე მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის. მიუხედავად ამისა, დიდად რეკომენდირებულია სამოგზაურო სამედიცინო სადაზღვევო პოლისის შეძენა შენგენის ქვეყნებში მოგზაურობისას.

8. რა მიზნებით შემიძლია შენგენის ზონაში მოგზაურობა ვიზის გარეშე?

თქვენ შეგიძლიათ იმოგზაუროთ ტურისტის რანგში, მეგობრების ან ოჯახის მოსანახულებლად, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრებად, საქმიანი შეხვედრებისთვის, ჟურნალისტური მიზნებისათვის, სამედიცინო მომსახურებისათვის, მოკლევადიანი სწავლის ან ტრეინინგისათვის და ნებისმიერი სხვა მსგავსი აქტივობისათვის.

---

[4] იხილეთ https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/e-library/documents/policies/borders-and-visas/schengen/docs/reference_amounts_table.pdf

თუმცა, უვიზო მიმოსვლა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მოგზაურობენ წევრ ქვეყანაში ანაზღაურებადი საქმიანობის განსახორციელებლად, მაგალითად მიემგზავრებიან სამუშაოდ (იხილეთ კითხვა 9).

9. მჭირდება ვიზა შენგენის ზონაში სამუშაოდ 90 დღეზე ნაკლები პერიოდისთვის?

დიახ, წევრი ქვეყნების უმეტესობა ითხოვს ვიზას და სამუშაო ნებართვას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს 90 დღეზე ნაკლებია. გთხოვთ დაუკავშირდეთ იმ წევრი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს რომელშიც სამუშაოდ გამგზავრებას აპირებთ და იკითხოთ გესაჭიროებათ თუ არა სპეციალური ტიპის ვიზა და სამუშაო ნებართვა.

10. თუ შენგენის ზონაში მცხოვრები მეგობრის ან ნათესავის მოსანახულებლად მივდივარ, დამჭირდება თუ არა საზღვარზე ამ პირის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარდგენა?

თქვენ შესაძლოა გთხოვონ ამ პირის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. რეკომენდებულია რომ გქონდეთ სულ მცირე მისი მისამართი და საკონტაქტო ნომერი.

11. მჭირდება თუ არა ვიზაზე ან/და ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა, როდესაც შენგენის ზონაში მოკლევადიანი სასწავლო ვიზიტისთვის ვაპირებ გამგზავრებას?

არა. თქვენ არ გჭირდებათ ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა, თუ გეგმავთ შენგენის ზონაში ისეთი კურსის გავლას, რომლის საერთო ხანგრძლივობა 90 დღეს არ აღემატება (180-დღიან პერიოდში). უფრო გრძელვადიანი სასწავლო კურსისთვის, საჭიროა ბინადრობის ნებართვის მისაღებად შესაბამისი სავიზო განაცხადის შეტანა ამასთან დაკავშირებული რეგულაციები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. შესაბამისად, რეკომენდირებულია იმ ქვეყნის საელჩოსთან ან საკონსულოსთან დაკავშირება, რომელშიც სწავლას აპირებთ.

12. მაქვს თუ არა უფლება გადავიდე შენგენის ერთი ქვეყნიდან მეორეში?
შენგენის ზონაში ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლი არ არსებობს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია წევრმა ქვეყნებმა მიიღონ გადაწყვეტილება გარკვეული დროით აღადგინონ კონტროლი საკუთარ შიდა საზღვრებზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მოგიწიოთ სასაზღვრო კონტროლის გავლა ყველა სხვა მოქალაქის მსგავსად (ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების მოქალაქეების ჩათვლით). იმ შემთხვევაში თუკი დააკმაყოფილებთ ქვეყანაში შესვლის აუცილებელ პირობებს, მაშინ თქვენ კვლავაც შეძლებთ შენგენის ზონაში თავისუფლად გადაადგილებას.

<u>შენიშვნა:</u> სასაზღვრო კონტროლი დაწესებულია შენგენის ქვეყნებსა და ბულგარეთს, ხორვატიას, კვიპროსსა და რუმინეთს შორის (ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც ჯერ სრულად არ არიან ინტეგრირებული შენგენის ზონაში). კონტროლი ასევე ხორციელდება შენგენის ქვეყნებსა და გაერთიანებული სამეფოს და ირლანდიის საზღვრებზე (რადგან ისინი არ შედიან შენგენის ზონაში).

მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ტერიტორიაზე შესვლის ყველა პირობა (იხილეთ კითხვა 5) შენგენის ზონაში სასაზღვრო კონტროლის დროებითი აღდგენის შემთხვევაში.

13. რა შეიძლება მოხდეს თუკი 90 დღეზე მეტ ხანს დავრჩები (ბინადრობის ნებართვის ან გრძელვადიანი ვიზის გარეშე) ან შენგენის ზონაში ვიმუშავებ (სამუშაო ნებართვის გარეშე)?

იმ შემთხვევაში თუკი მესამე ქვეყნის მოქალაქე, შენგენის ზონაში დაჰყოფს 90 დღეზე მეტ ხანს (ბინადრობის ნებართვის ან გრძელვადიანი ვიზის გარეშე) იგი აჭარბებს შენგენის ზონაში ყოფნის დაშვებულ პერიოდს და არღვევს დადგენილ რეგულაციებს. ამას შესაძლოა მოჰყვეს მისი სამართლებრივი დევნა და შენგენის სივრცეში შესვლის აკრძალვა. ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ შენგენის სივრცეში ნებართვის გარეშე ვალდებული არიან დატოვონ ქვეყანა. თუკი ისინი საკუთარი ნებით არ დაემორჩილებიან ამ ვალდებულებას ისინი შესაძლოა დააბრუნონ თავიანთ ქვეყანაში მათი სურვილის წინააღმდეგ და მათივე საკუთარი ხარჯებით.

სამუშაო ნებართვის გარეშე შენგენის ზონაში მუშაობა (90 დღეზე ნაკლები ვადითაც კი) ასევე არაკანონიერიადა ამას შეიძლება მოჰყვეს შენგენის სივრცეში შესვლის აკრძალვა. აგრეთვე, ზოგიერთი წევრი ქვეყნის მხრიდან, სადაც დაფიქსირდება დარღვევა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სახის ჯარიმები, პატიმრობის მუხლის ჩათვლით.

14. შემიძლია თუ არა მოვითხოვო ლტოლვილის სტატუსი, შვეიცარიაში ჩემი ყოფნის გახანგძლივების მიზნით?

პრინციპში ყველას აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე. საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებული განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე შვეიცარიაში განიხილება დაჩქარებული რეჟიმით და წარმოადგენს 48 საათიან პროცედურას. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებული განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე არ დაკმაყოფილებულა. აქედან გამომდინარე ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი საქართველოს მოქალაქე დიდი ალბათობით მიიღებს უარს და იქნება დეპორტირებული.

ამის გარდა შვეიცარია მას დაუწესებს შენგენის სივრცეში შესვლაზე აკრძალვას და ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი არ მიიღებს არანაირ

ფინანსურ დახმარებას უკან დასაბრუნებლად. იმ შემთხვევაში თუ იგი არ დატოვებს ქვეყანას საკუთარი ნებით, იგი სავარაუდოდ იქნება დაპატიმრებული და იძულებით დეპორტირებული. ლტოლვილის სტატუსის მაძიებლები რჩებიან საერთო საცხოვრებელ სივრცეში მთელი პროცედურის განმავლობაში.

15. მაქვს სამედიცინო სახის პრობლემები და მჭირდება მკურნალობა, შემიძლია თუ არა გავაკეთო განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე?

ასეთი სახის განაცხადები წარმოადგენს პრიორიტეტს. მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე განაცხადი პრინციპში იქნება უარყოფილი. გარდა ამისა შეიძლება ადგილი ჰქონდეს იძულებით დეპორტაციასა და შენგენის სივრცეში შესვლის აკრძალვას. აქედან გამომდინარე იმის ალბათობა, რომ მიიღოთ შვეიცარიაში ლტოლვილის სტატუსი სამედიცინო მიზნებისათვის არის უკიდურესად დაბალი.